საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება

თბილისი

MES 7 20 0000820596

11/09/2020

2020-2021 სასწავლო წელს ქალაქების თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, გორის, ზუგდიდის, ფოთის, ქობულეთისა და ბათუმის ტერიტორიაზე მოქმედი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ

„საქართველოს მთავრობის, სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 6^1 მუხლის მე-4 პუნქტისა და 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „$ც^2$“ ქვეპუნქტის, „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N468 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, და „ლ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2020 წლის 11 სექტემბრის N819485 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებმა, რომლებიც საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებენ ქალაქებში - თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, გორი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი და ბათუმი, სასწავლო პროცესი 2020 წლის პირველ ოქტომბრამდე წარმართონ დისტანციურ რეჟიმში, ხოლო პირველი ოქტომბრიდან სასწავლო პროცესი განაგრძონ არადისტანციურ რეჟიმში;
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.

საქართველოს განათლების, მეცნიერების,

კულტურისა და სპორტის მინისტრი
მიხეილ ჩხენკელი